აფილირების წესი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ა) **აფილირება** - აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში.

ბ) **აფილირებული აკადემიური პერსონალი** – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება.

გ) **აფილირების შეთანხმება** – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტის და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს შრომითი ურთიერთობების და აფილირების შესახებ.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. უნიერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი შედგება აფილირებული პროფესორებისგან, აფილირებული ასოცირებული პროფესორებისგან, აფილირებული ასისტენტ-პროფესორებისგან და ასისტენტებისგან.
2. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემირი პერსონალის უფლებები და ძირითადი მოვალეობები დაწვრილებით არის მოცემული აფილირების შეთანხმებასა და უნივერსიტეტის „აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობასა და მათი შეფასების წესში“.
3. აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შედეგები, ჩაეთვლება მხოლოდ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს, მიუხედავად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და ორგანიზაციის/დაწესებულების მხრიდან მათი მხარდაჭერისა.
4. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი უფლებამოსილია აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სხვა საგანმანთლებლო დაწესებულებასთან აფილირების გაფორმების შემთხვევაში შეუწყვიტოს მას აფილირების შეთანხმება და ასეთის არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

5. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/ კვლევით საქმიანობას.

მუხლი 3. უნივერსიტეტში არჩეული აკადემიური პერსონალის აფილირება

1. პერსონალი, რომელსაც წინამდებარე წესის ამოქმედების მომენტისთვის უნივერსიტეტში უკავია აკადემიური თანამდებობა უფლებამოსილია, უნივერსიტეტის ნების გათვალისწინებით, გააფორმოს აფილირების შეთანხმება უნივერსიტეტთან.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტთან შეთანხმებით უფლებამოსილია სხვა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა და განახორციელოს სწავლება პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

მუხლი 4. აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმა

უნივერსიტეტის აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმა მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებით.